

**ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს
2010 წლის 6 თვის შესრულების ანგარიში**

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ დასახული პროორიტეტების მიხედვით 2010 წლის 6 თვეში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ღონისძიებები:

პრიორიტეტი: სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

- პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები; 1) ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად; 2) დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომპონენტი; 3) ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი; 4) სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტი; 5) ზოგადი ამბულატორიული დახმარების კომპონენტი.

შედეგები: სოფლად ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმებული 3252 ფიზიკურ პირთან. კომპონენტი ითვალისწინებს: ექიმთან/ექიმის ვიზიტს, ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაზე მეთვალყურეობას, პაციენტების რეფერალს ექიმ-სპეციალისტთან, რომლის რაოდენობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1007378. სპეცდაფინანსების კომპონენტით ჩატარდა 84418 გასინჯვა და 8012 აცრა. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში, ხორციელდება: პერიოდული ლიტერატურის შექმნა, სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, გლიკოზირებული ჰემოგლობინის ანალიზისათვის საჭირო რეაქტივის შექმნა, სპეციალური დიაბეტური ლიტერატურის შექმნა, თარგმნა, ინსულინისა და მისი ანალოგების გაცემა, შპრიც-კალმისტრების, გლუკომეტრების, სისხლის წვეთის ასაღები ხელსაწყოთა, შარდში კეტონური სხეულებისა და გლუკოზის განმსაზღვრელი ტესტ-ჩხირების და ა.შ. გაცემა. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება მედიკამენტის მიწოდება და ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების ქვეკომპონენტით დაფიქსირდა სულ 5303 კონტაქტი პაციენტთან, აქედან, 2554 შემთხვევა შეადგინა ლაბორატორიულმა კვლევამ. ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს 6 წლამდე, 60 წლის ზემოთ მოსახლეობის და 6-60 წლამდე დიაბეტიან და ონკოინკურაბელური

პაციენტების ამბულატორიულ მომსახურებას. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 0-6 წლამდე ასაკის ბავშვის 476055 ექიმთან ვიზიტი, 60 წლის და მეტი ასაკის 288627 ექიმთან ვიზიტი, დიაბეტიანი პაციენტის 34238 ვიზიტი ექიმთან და ონკოინკურაბელურთა 9942 ვიზიტი.

- ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის უზრუნველყოფას. *შედეგები:* ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში, დაფიქსირდა 54423 შემთხვევა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის 5807 შემთხვევა. სტაციონარული მომსახურების ფარგლებში დაფიქსირდა მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარის 245 500 საწოლ/დღე და ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების 122 შემთხვევა, ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების 717 შემთხვევა, ფსიქოზური რეგისტრის აშლილობის მქონე პაციენტთა ურგენტული მომსახურების 12 შემთხვევა.

- ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს: 1) ფთიზიატრიულ ამბულატორიულ დახმარებას; 2) რეფერენს კონტროლს; 3) ზედამხედველობის კომპონენტს ანუ სუპერვიზიას; 4) DOT სამსახურის უზრუნველყოფას; 5) ფთიზიატრიულ სტაციონარულ დახმარებას, მ.შ. რეზისტენტული ფორმების მკურნალობას (ქ.თბილისში, ქ.ქუთაისში, ქ.ზუგდიდსა და აბასთუმანში).

შედეგები: ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ამბულატორიული 32310 შემთხვევა, რეფერენს-კონტროლის 7917 შემთხვევა, სუპერვიზიის 102 შემთხვევა, DOT-სოციალური მეურვეობის – 21780; სტაციონარული მომსახურების – 49059 საწოლ/დღე, ქირურგიული მკურნალობის 100 შემთხვევა.

- ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება 18 წლამდე ასაკის მოსახლეობისათვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით, აგრეთვე 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: 1) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი; 2) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი დახმარების კომპონენტი; 3) იშვიათი დაავადებების მქონე, მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული 15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების კომპონენტი; 4) ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტი

ფენილკეტონურიასა და ფენილალანინემიაზე; 5) 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარება (ანტირაბიული საშუალების გარეშე);

6) 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ონკოლოგიურ, ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტი;

9) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის კომპონენტი.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამით სულ დაფიქსირდა 78154 შემთხვევა, მათ შორის: 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების 21202 შემთხვევა, 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი დახმარების – 3702 შემთხვევა, იშვიათი დაავადებების მქონე, მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული 15 წლამდე ასაკის ბავშვთა 3662 სტაციონარული შემთხვევა, ანტირაბიული სამედიცინო დახმარების 17483 შემთხვევა, ახალშობილთა და ბავშვთა ფენილკეტონურიასა და ფენილალანინემიაზე სკრინინგის 30159 შემთხვევა, ბავშვთა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეკომპონენტით დაფიქსირდა 907 შემთხვევა და ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის 1039 შემთხვევა.

- ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მომსახურება ხორციელდება სტაციონარული დახმარება ინფექციური დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფთათვის, რომელიც მოიცავს: დიაგნოსტიკურ მომსახურებასა და სპეციალიზებულ განყოფილებაში პროფილურ სტაციონარულ მომსახურებას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სულ 2941 შემთხვევა. რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 2723 ინფექციური სტაციონარული შემთხვევა. მათ შორის „სიღარიბის პოლისით“ – 1091 შემთხვევა და ინფექცია კრიტიკული – 122 შემთხვევა. ასევე 98 სეფსისის შემთხვევა, მათ შორის 6 „სიღარიბის პოლისით“ და პარაზიტოლოგიის 120 სტაციონარული შემთხვევა, მათ შორის 13 „სიღარიბის პოლისით“.

- სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ანტენატალური მომსახურება და მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა.

შედეგები: ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტით საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 103528 ვიზიტი. მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის კომპონენტით დაფიქსირდა 949 შემთხვევა, მათ შორის - 6 სეფსისი.

- ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,

მიმდინარეობს თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულების უზრუნველყოფა ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით, აგრეთვე თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციით.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ჰემოდიალიზის სეანსის 74130 შემთხვევა და პერიტონეური დიალიზის 66960 შემთხვევა.

- ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიური პაციენტებისათვის ხარისხიან და ხელმისაწვდომ სამედიცინო მიწოდებას, კერძოდ, პროგრამის შემადგენელი კომპონენტებია: ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ნეირონკოლოგიურ პაციენტთა სტაციონარული მკურნალობა, ონკოჰემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და ონკონკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული მკურნალობა.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში სულ დაფიქსირდა 7986 შემთხვევა და 1507 საწოლ/დღე. აქედან: დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეკომპონენტით დაფიქსირდა სულ 7362 შემთხვევა, მ.შ. ქირურგიული მკურნალობის 567 შემთხვევა, სხივური თერაპიის 151 შემთხვევა, დიაგნოსტიკის 5214 შემთხვევა და ქიმიოთერაპიის 1430 შემთხვევა. ქვეკომპონენტით - ნეირონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობა - დაფიქსირდა 18 შემთხვევა. ონკოჰემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობის კომპონენტით დაფიქსირდა 606 შემთხვევა, ონკონკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის 1507 საწოლ/დღე.

- რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების დროს და კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება. მომსახურება იყოფა შემდეგ კომპონენტებად: ა) რეფერალური დახმარება; ბ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება; გ) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარება; დ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება; ე) საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს

შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა. ვ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევა.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში „ა“ ქვეკომპონენტით დაფიქსირდა 7065 შემთხვევა. „ბ“ ქვეკომპონენტით – 5950 შემთხვევა, „დ“ ქვეკომპონენტით 8 შემთხვევა, რაც შეეხება „ბ“ და „ე“ ქვეკომპონენტებს, მიმდინარე ეტაპზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლებელია შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა.

- მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიწოდება, რომელიც ითვალისწინებს: 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის პათომორფოლოგიურ გამოკვლევას და ურგენტულ სამედიცინო მომსახურებას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 12371 შემთხვევა, მათ შორის კრიტიკული მდგომარეობის – 2428 შემთხვევა. პათომორფოლოგიური და პათანატომიური კვლევების 1351 შემთხვევა.

- გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პაციენტების კარდიოქირურგიულ მკურნალობას, გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შექმნილი პათოლოგიების კარდიოქირურგიულ მკურნალობას, კორონარულ ანგიოპლასტიკას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 829 შემთხვევა. მათ შორის: თანდაყოლილი მანკების ოპერაციული მკურნალობის 196 შემთხვევა, შექმნილი მანკების ოპერაციული მკურნალობის - 267 და ანგიოპლასტიკის - 366 შემთხვევა.

- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს: ამბულატორიულ მომსახურებას, სტაციონარულ მომსახურებას, მოსარგებლეთა რეესტრის წარმოებას და ბენეფიციართათვის მედიკამენტების მიწოდებას. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ამბულატორიული მომსახურების 682 შემთხვევა.

- აივ ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს: ა) აივ ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობით კონსულტირებას და კვლევას; 2) აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფას ამბულატორიული მომსახურებით; 3) აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფას სტაციონარული მომსახურებით;

შედეგები: დაფიქსირდა აივ ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობით კონსულტირების და კვლევის 22043 შემთხვევა. მ.შ. ყველაზე ხშირად - აივ ანტისხეულების განსაზღვრა იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით - 4655 შემთხვევა; ბ) ტესტის შემდგომი კონსულტაცია - 5134 შემთხვევა; ტესტის წინა კონსულტაცია სისხლის აღებით - 4993 შემთხვევა. დაფიქსირდა აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 3960 შემთხვევა დაფიქსირდა. მ.შ. დიაგნოსტიკის - 648 შემთხვევა, ვიზიტი ექიმთან - 2447 შემთხვევა, მკურნალობის - 866 შემთხვევა. აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების 540 შემთხვევა.

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს: ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფას უფასო, სრულყოფილი და ოპერატიული გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში - ჰოსპიტალიზაციას, აგრეთვე კატასტროფების დროს - გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. მომსახურების მოცულობაა: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ვიზიტი პაციენტთან, საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა კატასტროფების დროს, პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო საგნებით და მედიკამენტებით სამედიცინო დახმარების გაწევა. ასევე პროგრამა ითვალისწინებს სარეტრანსლაციო სისტემათა ფუნქციონირებას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რეგიონებში - 210829 გამოძახება. მათ შორის ჰოსპიტალიზაცია ჩაუტარდა 33025 პაციენტს, დაფიქსირდა 343 ავტოსაგზაო შემთხვევა.

- ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს „ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში“ არსებულ საინფორმაციო ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა ამბულატორიულ-პროფილაქტიკურ სამედიცინო დახმარებას და სტაციონარულ სამკურნალო და დიაგნოსტიკურ დახმარებას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა ამბულატორიული მომსახურების 3007 შემთხვევა და სტაციონარული სამკურნალო-სადიაგნოსტიკო მომსახურების 3904 შემთხვევა.

- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ამბულატორიულ შემოწმებასა და დამატებით სტაციონარულ სამედიცინო შემოწმებას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ამბულატორიულად სპეციალისტის კონსულტაციისა და ლაბორატორიული კვლევის 7 350

შემთხვევა. ხოლო დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების - 2 296 შემთხვევა.

- დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მომსახურება ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების ადრეული გამოვლენისა და ეფექტიანი პრევენციული ღონისძიების გატარების გზით. აღნიშნული პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის კომპონენტი; ბ) პროფესიულ დაავადებათა პრევენციის კომპონენტი; გ) გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტი დ) დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტი ე) იმუნიზაციის კომპონენტი ვ) უსაფრთხო სისხლის კომპონენტი ზ) ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციის კომპონენტი.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა: გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტის ფარგლებში 1128 შემთხვევა. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში სუბკომპონენტი – 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობა მოემსახურა 220 ბენეფიციარს, ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის სუბკომპონენტით დაფიქსირდა 10167 შემთხვევა, ქალთა დისჰორმონული ოსტეოპოროზის პროფილაქტიკის ფარგლებში, დაფიქსირდა დენსიტომეტრიის 180 შემთხვევა, სქესობრივად გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკის ფარგლებში დაფიქსირდა 3707 შემთხვევა. იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 208862 აკრა-ვიზიტი. უსაფრთხო სისხლის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 17808 შემთხვევა. ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციის კომპონენტით დაფიქსირდა 723 შემთხვევა. რაც შეეხება ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის კომპონენტს, პროფესიულ დაავადებათა პრევენციის კომპონენტს, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში კიბოს რეესტრის წარმოების ქვეკომპონენტს, რეპროდუქციული ასაკის ქალთა კარდიო-ვასკულარული სიკვდილობით კვლევის ქვეკომპონენტს, საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა „პატრიოტით“ განსაზღვრულ სამედიცინო ღონისძიებების უზრუნველყოფის ქვეკომპონენტს, ტრანსპლანტაციის რეესტრის წარმოების ქვეკომპონენტს, ძუძუს კიბოს სკრინინგის ქვეკომპონენტს, პროგრამის ფარგლებში, ხელშეკერულებიდან გამომდინარე ანაზღაურების წესის გამო, შეუძლებელია შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა.

- მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს: დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილ ავადმყოფთა 16614 ბენეფიციარის მედიკამენტით უზრუნველყოფას; ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა 291 ბენეფიციარის მედიკამენტით უზრუნველყოფას; ორგანოგადანერგილთა 106 ბენეფიციარის მედიკამენტით უზრუნველყოფას; უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა 405 ბენეფიციარის მედიკამენტით უზრუნველყოფას; ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით 100 ბენეფიციარის უზრუნველყოფას; მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტით 87 ბენეფიციარის უზრუნველყოფას; ნარკომანიით დაავადებულთა 1200 ბენეფიციარის უზრუნველყოფას ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით. ასევე პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა, ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და „სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის განხორციელებისათვის „ბ“ ჰეპატიტზე და აივ-ინფექციაზე ტესტით უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები) სოციალური დაცვა

- შშმ პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამით ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო ახორციელებს: ა) ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამას, რომლის მიზანს წარმოადგენს გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია და პრევენცია. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 332 კონტაქტი ბენეფიციართან. ბ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით განსაზღვრულია ბენეფიციართა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების გაწევა. საანგარიშო პერიოდში პროგრამა მოემსახურა 40 ბენეფიციარს. აფიქსირდა: გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ქვეპროგრამა უზრუნველყოფს სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებით მომსახურების უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 17413 კვება/დღე. დ) ყრუ-მუნჯების კომუნიკაციების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია სურდოთარჯიმნების მომსახურებით ყრუ-

მუხების უზრუნველყოფა. დღეისათვის პროგრამაში მონაწილეობს რვა სურდოთარჯიანი.

ე) შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.

ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში მომსახურება ჩაუტარდა 677 ბენეფიციარს.

ვ) დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს გადასაადგილებელი საშუალებებით, საპროტეზო-ორთოპედიული საშუალებებით, სმენის აპარატებითა და კოხლეარული ინპლანტით უზრუნველყოფას.

შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაიცა 927 გადასაადგილებელი საშუალება, 718 სმენის აპარატი, ბენეფიციარებს გაეწიათ 104 საპროტეზო-ორთოპედიული საშუალებით დახმარება და დაფიქსირდა კოხლეარული ინპლანტით დახმარების 3 შემთხვევა.

- პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ შედეგა რამდენიმე კომპონენტისაგან და მათ შორის, ხუთ კომპონენტს ახორციელებს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. ქვეკომპონენტით - მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - დაფიქსირდა 7093 კვება/დღე. ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამით დაფიქსირდა 1810 კვება/დღე, ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამით დაფიქსირდა 1385 კონტაქტი ბენეფიციართან. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულების ხელშეწყობის ქვეპროგრამა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოემსახურა 5722 ბენეფიციარს.